

შპს სოლარი

შპს ფასს-ის მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება,
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და
ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

შპს სოლარი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანიის აღწერა.....	10
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	17
4. ძირითადი საშუალებები.....	19
5. საინვესტიციო ქონება	20
6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	20
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21
8. გაცემული სესხები	21
9. მარაგები.....	22
10. საწესდებო კაპიტალი.....	22
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23
12. ამონაგები.....	23
13. გაყიდვების თვითღირებულება.....	23
14. სხვა შემოსავალი	23
15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	24
16. მიწოდების და კომერციული ხარჯები	24
17. საკუთარ სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	24
18. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები.....	25
19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	25
20. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	26
21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	26
მმართველობის ანგარიშგება	27

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს სოლარის ხელმძღვანელობასა და მესაკუთრეს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს სოლარის (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის, არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მსს ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონის“) მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწარმოო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

„კანონი“-ს შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვედნილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი

რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მსს ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ

მოსაზრება გამოვთქვამთ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი შედგენილია კომპანიის მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით): ა) შიდა განხილვის მიზნებისთვის, ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად. 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებით, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება აუდიტორის დასკვნასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით პაპიაშვილი, რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-326452

შპს კრესტონ ჯორჯიას სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4, თბილისი 0186, საქართველო

14 ნოემბერი, 2025 წელი

მოსაზრება გამოვთქვით კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი შედგენილია კომპანიის მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით): ა) შიდა განხილვის მიზნებისთვის, ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად. 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებით, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება აუდიტორის დასკვნასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით პაპიაშვილი, რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-326452

შპს კრესტონ ჯორჯიას სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4, თბილისი 0186, საქართველო

14 ნოემბერი, 2025 წელი



შპს სოლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკ 2024	31 დეკ 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	5,196	5,677
საინვესტიციო ქონება	5	606	-
არამატერიალური აქტივები		6	7
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,808	5,684
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	11,616	10,914
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	5,271	3,793
გაცემული სესხები	8	2,628	-
მარაგები	9	876	772
სულ მოკლევადიანი აქტივები		20,391	15,479
სულ აქტივები		26,199	21,163
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		26,068	21,032
სულ კაპიტალი		26,068	21,032
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	60	67
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა		71	64
სულ ვალდებულებები		131	131
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		26,199	21,163

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 6-26 გვერდების ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 12 ნოემბერს.

დირექტორი - იური ტყეშელაშვილი

მთ. ბუღალტერი - მარგარიტა სოლოლაშვილი

შპს სოლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკ 2024	31 დეკ 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	5,196	5,677
საინვესტიციო ქონება	5	606	-
არამატერიალური აქტივები		6	7
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,808	5,684
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	11,616	10,914
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	5,271	3,793
გაცემული სესხები	8	2,628	-
მარაგები	9	876	772
სულ მოკლევადიანი აქტივები		20,391	15,479
სულ აქტივები		26,199	21,163
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		26,068	21,032
სულ კაპიტალი		26,068	21,032
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	60	67
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა		71	64
სულ ვალდებულებები		131	131
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		26,199	21,163

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 6-26 გვერდების ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით
დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 12 ნოემბერს.

დირექტორი - იური ტყეშელაშვილი

მთ. ბუღალტერი - მარგარიტა სოლოლაშვილი

შპს სოლარი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	12	23,559	17,575
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(12,157)	(8,771)
საერთო მოგება		11,402	8,804
სხვა შემოსავალი	14	187	35
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(1,158)	(922)
მიწოდების და კომერციული ხარჯები	16	(2,019)	(1,486)
სხვა ხარჯები		(42)	(76)
საოპერაციო მოგება		8,370	6,355
ფინანსური შემოსავალი	8	1,200	1,037
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	17	(780)	(58)
მოგება დაბეგვრამდე		8,790	7,334
მოგების გადასახადი		(860)	(126)
წმინდა მოგება		7,930	7,208

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 6-26 გვერდების ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით
დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 12 ნოემბერს.

დირექტორი - იური ტყეშუჩავა

მთ. ბუღალტერი - მარგარიტა სოლოღაშვილი

შპს სოლარი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	12	23,559	17,575
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(12,157)	(8,771)
საერთო მოგება		11,402	8,804
სხვა შემოსავალი	14	187	35
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(1,158)	(922)
მიწოდების და კომერციული ხარჯები	16	(2,019)	(1,486)
სხვა ხარჯები		(42)	(76)
საოპერაციო მოგება		8,370	6,355
ფინანსური შემოსავალი	8	1,200	1,037
საკუროსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	17	(780)	(58)
მოგება დაბეგვრამდე		8,790	7,334
მოგების გადასახადი		(860)	(126)
წმინდა მოგება		7,930	7,208

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 6-26 გვერდების ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 12 ნოემბერს.

დირექტორი - იური ტყეშელაშვილი

მთ. ბუღალტერი - მარგარიტა სოლოლაშვილი

შპს სოლარი

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

	დაგროვილი მოგება	სულ კაპიტალი
01 იანვარი 2023	14,531	14,531
დივიდენდის გაცემა	(707)	(707)
ოპერაციები მფლობელებთან	(707)	(707)
წლის მოგება	7,208	7,208
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	7,208	7,208
31 დეკემბერი 2023	21,032	21,032
დივიდენდის გაცემა	(2,894)	(2,894)
ოპერაციები მფლობელებთან	(2,894)	(2,894)
წლის მოგება	7,930	7,930
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	7,930	7,930
31 დეკემბერი 2024	26,068	26,068

შპს სოლარი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		8,790	7,334
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია		402	356
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	7	31	10
მოგება ძირითადი საშუალებების გასვლიდან		-	(13)
ფინანსური შემოსავალი		(1,200)	(1,037)
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	17	780	58
ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		8,803	6,708
ცვლილებები მარაგებში		(104)	(365)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(849)	(708)
ცვლილებები გაცემულ ავანსებში		(630)	(702)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(4)	38
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში		7	3
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან პროცენტამდე და მოგების გადასახადამდე		7,223	4,974
გადახდილი მოგების გადასახადი		(860)	(126)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		6,363	4,848
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტები დეპოზიტებიდან		1,075	925
გაცემული სესხები	8	(2,981)	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსულობები		-	76
ძირითადი საშუალებების შეძენა	4	(523)	(622)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(2,429)	379
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები	10	(2,894)	(707)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(2,894)	(707)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		1,040	4,520
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		10,914	6,452
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულზე	17	(338)	(58)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		11,616	10,914

1. კომპანიის აღწერა

შპს „სოლარი“ სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირდა 2013 წლის 28 მაისს. მისი სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და საიდენტიფიკაციო ნომერია 400090450.

მისი იურიდიული და ფაქტიური მისამართია: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, თენგიზ ჩანტლადის ჩიხი, N 4

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი დამტკიცების მომენტისთვის შპს სოლარის 50% წილის მფლობელი და დირექტორია იური ტყეშუაშვილი (პ/ნ 58001004392), ხოლო 50%-ს ფლობს სერაპიონ კუტალია (პ/ნ 01008050161).

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროებია:

შპს „სოლარი“-ს ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს მზესუმზირისა და თხილეულის იმპორტი, დაფასოება და რეალიზაცია. კომპანია სპეციალიზირებულია მზესუმზირისა და არაქისის (მიწის თხილის) მოხალვაზე, დამარილებასა და შეფუთვაზე. კომპანია რამდენიმე წელია აფართოებს ასორტიმენტს - სთავაზობს მომხმარებელს ნუშს, ფისტას და სხვა ხეშს პროდუქტებს.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი), ნეტო“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 დოლარი/ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9306	2.9753
საშუალო წლიური კურსი	2024	2023
1 დოლარი/ლარი	2.7208	2.6279
1 ევრო/ლარი	2.9440	2.8416

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში ფინანსური ანგარიშგება) მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში

ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს–ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით.

აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიცირება

აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოკლევადიანი და გრძელვადიანი კლასიფიკაციის მიხედვით.

აქტივი კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი, როდესაც: ან მოსალოდნელია მისი რეალიზაცია ან მისი გაყიდვა ან მოხმარება კომპანიის ნორმალურ საოპერაციო ციკლში; კომპანია მას ფლობს ძირითადად გაყიდვის მიზნით; მოსალოდნელია მისი რეალიზაცია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში; ან აქტივი არის ნაღდი ფული ან ფულადი ექვივალენტი, თუ არ არის შეზღუდული მისი გაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი.

ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი, როდესაც: ან მოსალოდნელია მისი დაფარვა კომპანიის ნორმალურ საოპერაციო ციკლში; იგი იმართება ძირითადად ვაჭრობის მიზნით; ის გადახდილი უნდა იყოს საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში; ან არ არსებობს უპირობო უფლება, ვალდებულების დაფარვის გადავადების საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან არანაკლებ 12 თვით. ყველა სხვა ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი.

გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება ყოველთვის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიას საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალებების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების შეფასებული მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	20 წელი
დანადგარები და საწარმოო ხაზი	12 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	7 წელი
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	7 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	5 წელი

მიწის ნაკვეთებს და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

საინვესტიციო ქონება

კომპანია საინვესტიციო ქონებას აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად, თვითღირებულებით, რომელიც მცირდება ცვეთითა და გაუფასურების ზარალით. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. მიწის და შენობის ჯგუფის ცვეთად წილს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, მომსახურების ვადა - 20 წელი.

საინვესტიციო ქონება არ აღირიცხება რეალური ღირებულების ცვლილებით, რადგან კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ ასეთ აღრიცხვასთან დაკავშირებული დანახარჯი მიზანშეუწონელი იყო სააღრიცხვო პერიოდისთვის და პირველი წარდგენისთვის. მომავალ სააღრიცხვო პერიოდისთვის შესაძლებელია საინვესტიციო ქონების აღრიცხვა რეალური ღირებულების ცვლილებით განხორციელდეს.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება სააღრიცხვო პროგრამისგან (ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით).

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს საქმიანობასთან დაკავშირებულ ნედლეულსა და მასალებს და დაუმთავრებელ წარმოებას. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიას მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

კომპანიის საოპერაციო შემოსავალი შედგება თხილეულის, მზესუმზირისა და არაქისის (მიწის თხილის), ასევე ნუშის, ფისტისა და სხვა ხემსი პროდუქტების რეალიზაციით მიღებული შემოსავლისაგან.

ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი

ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების არასაოპერაციო ნაწილში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

წინასწარგადახდილი ხარჯები

წინასწარგადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდგება „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების“ ან „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიას ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიას ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიას ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

კომპანიას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

გ) ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია იმყოფება საკრედიტო რისკის ქვეშ ფინანსური აქტივების გავლენით, ფულის, საბანკო ანგარიშებისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩათვლით. საკრედიტო რისკი ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში იმართება საბანკო დაწესებულებების დივერსიფიკაციის გზით, მხოლოდ მნიშვნელოვანი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში. სავაჭრო მოთხოვნები შეფასებული იქნა ინდივიდუალურად, განვლილი დღეების და სავაჭრო პარტნიორებზე კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციის შესაბამისად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დამოკიდებულია გაყიდვების საგადახდო ისტორიაზე ბოლო 12 თვის მანძილზე, ასევე შესაბამისი განცდილი საკრედიტო ზარალზე მოცემულ პერიოდში.

დ) მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ყველაზე საიმედო მტკიცებულებების გათვალისწინებით. ამ მარაგების მომავალ რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, ან ბაზრის სხვა ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი სარეალიზაციო ფასები.

ე) დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. მსს ფასს მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. კომპანია განიხილავს, არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

ვ) საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწის ნაკვეთები	შენობა - ნაგებობები	დანადგარები და საწარმოო ხაზი	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	სატრანსპო რტო საშუალებებ ი	სხვა ძირითადი საშუალებე ბი	დაუმთა ვრებელ ი მშენებ ლობა	სულ
<i>თვითღირებულება</i>								
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,701	2,671	1,756	80	367	24	-	6,599
შესყიდვები	-	55	220	38	230	-	79	622
გადატანები კატეგორიებს შორის	-	79	-	-	-	-	(79)	-
გასვლები	-	-	(145)	(4)	(55)	-	-	(204)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,701	2,805	1,831	114	542	24	-	7,017
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,701	2,805	1,831	114	542	24	-	7,017
შესყიდვები	-	57	72	8	250	-	136	523
საინვესტიციო ქონებაზე გადატანა	-	(618)	-	-	-	-	(136)	(754)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,701	2,244	1,903	122	792	24	-	6,786
<i>დაგროვილი ცვეთა</i>								
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	261	600	44	203	19	-	1,127
ცვეთა წლის განმავლობაში	-	138	149	10	54	3	-	354
გასვლები	-	-	(82)	(4)	(55)	-	-	(141)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	399	667	50	202	22	-	1,340
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	399	667	50	202	22	-	1,340
ცვეთა წლის განმავლობაში	-	146	154	13	84	2	-	399
საინვესტიციო ქონებაზე გადატანა	-	(149)	-	-	-	-	-	(149)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	396	821	63	286	24	-	1,590
<i>საბალანსო ღირებულება</i>								
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,701	2,406	1,164	64	340	2	-	5,677
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,701	1,848	1,082	59	506	-	-	5,196

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 194,920 ლარის, 84,523 ლარის და 121,426 ლარის ცვეთის ხარჯი შევიდა შესაბამისად: რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში, მიწოდების და კომერციულ ხარჯებში და საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში. ცვეთის ხარჯი ასახულია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების მუხლში.

5. საინვესტიციო ქონება

	შენობა	სულ
ისტორიული ღირებულება		
ნაშთი 01.01.2023-ის მდგომარეობით	-	-
ძირითადი საშუალებიდან გადმოტანა	-	-
ნაშთი 31.12.2023-ის მდგომარეობით	-	-
ძირითადი საშუალებიდან გადმოტანა	754	754
ნაშთი 31.12.2024-ის მდგომარეობით	754	754
აკუმულირებული ცვეთა		
ნაშთი 01.01.2023-ის მდგომარეობით	-	-
პერიოდის ცვეთა	-	-
ნაშთი 31.12.2023-ის მდგომარეობით	-	-
პერიოდის ცვეთა	149	149
ნაშთი 31.12.2024-ის მდგომარეობით	149	149
წმინდა საბალანსო ღირებულება		
ნაშთი 31.12.2023-ის მდგომარეობით	-	-
ნაშთი 31.12.2024-ის მდგომარეობით	606	606

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შეადგენს:

	31.12.2024	31.12.2023
ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	1,301	211
მოთხოვნამდე დეპოზიტები	10,303	10,700
ნაღდი ფული სალაროში	12	3
სულ	11,616	10,914

კომპანიის ფულადი სახსრები არ წარმოადგენს რაიმე სახის ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებას.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შედგება:

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები	2,454	1,441
გაუფასურების ანარიცხები	(56)	(25)
დარიცხული პროცენტი ანაზრებიდან	30	112
სხვა მოთხოვნები	1	53
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	2,429	1,581
საქონლისა და მასალებისთვის გაცემული ავანსები	2,842	2,212
სულ არაფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	2,842	2,212
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,271	3,793

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალის ანარიცხის მოძრაობა:

	სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება
01.01.2023	(15)
დამატება	(10)
31.12.2023	(25)
დამატება	(31)
31.12.2024	(56)

8. გაცემული სესხები

შპს „სოლარს“ გაცემული აქვს ორი სესხი: მიხაილ ციბასა და იური შახბაზოვზე. ორივე სესხი გაცემულია 11%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთით. სესხების დაბრუნების საბოლოო ვადაა 2025 წლის 25 აგვისტო.

კომპანიის გაცემული სესხები შედგება:

	მოკლევადიანი 2023	სულ 2023	მოკლევადიანი 2024	სულ 2024
სესხის გაცემა	-	-	2,981	2,981
დარიცხული პროცენტი	-	-	93	93
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა	-	-	(446)	(446)
სულ	-	-	2,628	2,628

9. მარაგები

კომპანიის მარაგები შედგება:

	31.12.2024	31.12.2023
სულ წარმოებული საქონელი	193	19
მარაგები გზაში	-	220
ნედლეული	665	514
სხვა მასალები	18	19
სულ	876	772

2024 წლის განმავლობაში რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში ჩამოწერილი მარაგების ღირებულებამ შეადგინა 11,354 ათასი ლარი. (2023: 8,116 ათასი ლარი)

10. საწესდებო კაპიტალი**(ა) საწესდებო კაპიტალი**

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის კაპიტალი შეადგენდა ნულს.

(ბ) დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ხდება მათი დეკლარირება ფინანსური წლის განმავლობაში და წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მოგების განაწილება შესაძლოა მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გაუნაწილებელი მოგებიდან.

2024 წლის განმავლობაში, კომპანიამ გამოაცდახა და გადაიხადა 2,894 ათასი ლარის დივიდენდი (2023: 707 ათასი ლარი).

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შედგება:

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო ვალდებულებები	28	48
მიღებული ავანსი	14	-
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	18	19
სულ	60	67

12. ამონაგები

კომპანიის ამონაგები შედგება წარმოებული მზესუმზირისა და თხილეულის გაყიდვით მიღებული შემოსავლებისაგან (2024: 23,559 ათასი ლარი; 2023: 17,575 ათასი ლარი).

13. გაყიდვების თვითღირებულება

	2024	2023
გაყიდული მარაგების თვითღირებულება	11,354	8,116
შრომის ანაზღაურება	537	395
კომუნალური ხარჯები	69	58
ცვეთა და ამორტიზაცია	197	189
სხვა	-	13
სულ	12,157	8,771

14. სხვა შემოსავალი

	2024	2023
საიჯარო შემოსავალი	181	14
მოგება ძირითადი საშუალებების გასვლიდან	-	13
სხვა	6	8
სულ	187	35

	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წელზე ზემოთ	სულ
საიჯარო შემოსავალი	193	687	859	1,739

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები	734	573
საკონსულტაციო და პროფესიული ხარჯები	140	121
ცვეთა და ამორტიზაცია	121	112
საგადასახადო ხარჯები გარდა მოგებისა	54	45
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	31	10
საოფისე ხარჯები	14	13
სხვა	64	48
სულ	1,158	922

16. მიწოდების და კომერციული ხარჯები

	2024	2023
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები	1,666	1,223
საწვავის ხარჯები	169	126
მანქანის მოვლა და შეკეთების ხარჯები	83	60
ცვეთა	85	55
მარკეტინგის ხარჯები	8	7
სხვა	8	15
სულ	2,019	1,486

17. საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი

	2024	2023
მოგება საკურსო სხვაობიდან	250	56
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	246	56
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3	-
ზარალი საკურსო სხვაობიდან	(1,030)	(114)
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	(584)	(114)
გაცემული სესხები	(446)	-
ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა	(780)	(58)

18. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია მის წინააღმდეგ სასამართლო დავები და არც ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის არსებობს ასეთი. შესაბამისად არ არის მოლოდინი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნის და სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ არის წარდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში

საგადასახადო კანონმდებლობა - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიას ოპერაციები შესაძლოა გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, ჯარიმები.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით არის, როდესაც:

ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პირების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ და არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები. დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე.

სხვა დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს ისეთი საწარმოები რომლებიც კონტროლდება ან რომლებზეც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ანგარიშვალდებულ საწარმოზე კონტროლის მქონე პირებს. 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იური ტყეშელაშვი და სერაპიონ კუტალია ფლობენ კომპანიის საკუთარი კაპიტალის 50%-ს და 50%-ს .

შპს სოლარი

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ათას ქართულ ლარში

	2024	2023
უმაღლესი ხელმძღვანელობის ხელფასები და სხვა სარგებელი	567	481
ხელფასები და სხვა შეღავათები სხვა დაკავშირებული მხარეებისთვის	280	179
	847	660

2024 წლის განმავლობაში, კომპანიამ გამოაცდახა და გადაიხადა 2,894 ლარის დივიდენდი (2023: 707 ლარი)

20. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2025 წლის 1 იანვრიდან ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

კომპანიამ გამოაცხადა და გასცა 592 ათასი ლარის დივიდენდი.

გაცემული აქვს 60,000 ათასი რუბლის (1,961 ათასი ლარი) სესხი.

შემენილი აქვს 2,883 ათასი ლარის ძირითადი საშუალებები.

21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს სოლარის დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 12 ნოემბერს.

შპს სოლარი

2024 წლის მმართველობის ანგარიშგება

ათას ქართულ ლარში



შპს „სოლარი“

მმართველობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

1.	ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ.....	29
2.	კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები.....	29
3.	ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ.....	30
4.	კვლევებსა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები.....	30
5.	აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	30
6.	ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	30
7.	ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	30

1. ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ

შპს „სოლარი“ (შემდგომში „კომპანია“) სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირდა 2013 წლის 28 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საწარმო განთავსებულია ქ. თბილისში, სამგორის რაიონი, თენგიზ ჩანტლაძის ჩიხი. N4-ში, რომელიც ასევე მის იურიდიულ მისამართს წარმოადგენს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საკვები მზესუმზირის თესლის, ნუშის, მიწის თხილის, ფსტის და სხვა მარცვლეული წასახმსებლების წარმოება და მიწოდება/რეალიზაცია. ამჟამად კომპანია პროდუქციის რეალიზაციას ახდენს ადგილობრივ ბაზარზე როგორც ქსელურ მაღაზიებში ასევე სხვა არაქსელურ ობიექტებში საბითუმო ფორმით. კომპანიის დისტრიბუცია ფარავს თითქმის მთელ ქვეყანას რამოდენიმე მცირე რეგიონის გარდა.

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს მოქალაქე, რეზიდენტი ფიზიკური პირები: იური ტყეშელაშვილი და სერაპიონ კუტალია ფლობენ შესაბამისად კომპანიის წილის 50% და 50%-ს.

კომპანიის შიდა პროცესებზე დაყრდნობით ორგანიზაციის შიდა სტრუქტურა ოპტიმიზირებულია და შედგება შემდეგი დეპარტამენტებისაგან:

- საოპერაციო;
- კომერციული;
- კადრების;
- ფინანსური;

დეპარტამენტები ექვემდებარებიან კომპანიის გენერალურ დირექტორს.

2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანიის განვითარების გეგმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს ექსპორტზე გასვლა. აღნიშნული დადებით ზეგავლენას მოახდენს კომპანიის საერთო შემოსავლების ზრდაზე და ამასთანვე მნიშვნელოვან როლს ითამაშებს, გარემო ფაქტორებიდან გამოწვეული, სავალუტო რისკების ეფექტურად მართვაში.

უკვე მრავალი წელია, კომპანია ლოკალურ ბაზარზე წარმატებით ახორციელებს მისი წარმოებული პროდუქციის მიწოდებას, ზრუნავს ხარისხის სტაბილურობასა და მომხმარებელთა დადებით განწყობაზე. საქართველოს მხრიდან ევროკავშირთან დადებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება კომპანიას დამატებით შესაძლებლობას აძლევს საკუთარი ნაწარმის ექსპორტი მოახდინოს ევროპის ბაზრებზე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, კომპანიას გადაწყვეტილი აქვს მონაწილეობა მიიღოს სხვა და სხვა საერთაშორისო გამოფენებში, სადაც შეძლებს საკუთარი პროდუქტის და შესაძლებლობების დემონსტრირებას პოტენციურ პარტნიორებთან.

2023 წელს კომპანიამ დაიწყო წარმოების პროცესების და ადამიანური, ტექნიკური ინტეგრირებული მენეჯმენტის სისტემის HACCP-ის დანერგვა. 2025 წლის ბოლომდე კომპანია ელოდება სერტიფიცირებას და წასახმსებლების წარმოების სტანდარტის FSSC 22000 v.6-ი სისტემის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანას

ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის გადამოწმების მიზნით, კომპანია ატარებს ყოველწლიურ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, საერთაშორისო აუდიტორული კომპანიების მეშვეობით. კომპანიის მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ამ კომპლექსური ღონისძიებების შედეგად, გაუადვილდება მისი ფინანსური მაჩვენებლების და ხარისხობრივი მონაცემების გაზიარება საერთაშორისო ინვესტორებისათვის და დაინტერესებული პირებისათვის, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს კომპანიის მიერ საექსპორტო ბაზრების ათვისებას.

იმისათვის, რომ კომპანიამ წარმატებით უზრუნველყოს საექსპორტო ბაზრების ათვისება, 2022 - 2024 წლებში განახორციელა ინვესტიციები საუკეთესო ხარისხის მოსახალი და გადამამუშავებელი დანადგარების შესყიდვა-დანერგვის მიმართულებით. კერძოდ, შეძენილი იქნა მაღალი კლასის მოსახალი დანადგარი, მაღალი წარმადობის დამფასოებელი დანადგარი, და მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული საწარმოო შენობებით.

3. ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას არ აქვს ფილიალები.

4. კვლევებსა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

კომპანიაში რეგულარულად ტარდება შესყიდვითი ნედლეულის ლაბორატორიული ანალიზი. კომპანია გეგმავს მცირე შიდა ლაბორატორიის მოწყობას, რამდენადაც ორიენტირებულია ასორტიმენტის გაზრდაზე და სხვა წასახემსებელი პროდუქციის წარმოებაზე.

5. აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2024 წლის საოპერაციო საქმიანობის შედეგად დაფიქსირდა შემდეგი ფინანსური კოეფიციენტები:

	2024	2023
EBITDA	37%	38%
საერთო მოგების მარჟა	48%	50%
წმინდა მოგების მარჟა	34%	41%
მიმდინარე კოეფიციენტი	156	118
სწრაფი კოეფიციენტი	149	112
ROA	30%	34%
ROE	30%	34%

არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანია აქტიურად მუშაობს დასაქმების, ადამიანების უფლებებისა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლის ნათელი მაგალითიცაა, კომპანიის გადაწყვეტილება ორგანიზაციაში დანერგოს და შესაბამისობაში მოიყვანოს იგი საერთაშორისო სტანდარტების სისტემებთან. აღნიშნული სტანდარტების დანერგვით და სერტიფიცირებით, უფრო მეტად განამტკიცებს კომპანიაში უკვე დამკვიდრებულ პოლიტიკას, ადამიანების სოციალური და დასაქმების, შრომითი უფლებების და გარემოს დაცვის საკითხებთან მიმართებაში. კომპანიაში დასაქმებული პირები სარგებლობენ ჯანმრთელობის, სიცოცხლის და უბედური შემთხვევის რისკის დაზღვევით და ყველა იმ უფლებით რაც გათვალისწინებულია საქართველოს შრომის კოდექსით.

6. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი. კომპანიის გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია საქმიანობასთან დაკავშირებული საოპერაციო და ფინანსური რისკების განსაზღვრა, შეფასება და სწორი მენეჯმენტი. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, სავალუტო რისკები. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო.

საერთაშორისო, არამდგრადი და კონფლიქტური სიტუაციის გამო, იზრდება გაურკვეველობა და მერყეობა ვალუტის კურსებთან დაკავშირებით, რამდენადაც ჩვენი კომპანია ახორციელებს იმპორტს და სავაჭრო ვალდებულებები მის მომწოდებლებთან გამოხატულია უცხოურ ვალუტაში აღნიშნული რისკი წარმოადგენს არსებით ფაქტორს.

კომპანიის მენეჯმენტი იღებს სრულ პასუხისმგებლობას რისკების განსაზღვრა/მართვაზე. ამისთვის მუდმივად ხდება მოსალოდნელი რისკების იდენტიფიცირება, მათი ანალიზი, მონიტორინგი, მნიშვნელობის განსაზღვრა და შესაბამისი პრევენციული მექანიზმების შემუშავება.

განვითარებადი ბაზრის რისკები, როგორიცაა ხშირად ცვალებადი საგადასახადო, საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები, რომელიც მოითხოვს ბიზნეს პროცესების ხშირ გადაწყობას, დამატებით ხარჯებს თუ რიგ შემთხვევებში დანაზოგებს. ამ რისკების სამართავად კომპანია იყენებს, როგორც შიდა დაქირავებულ რესურსს, ისე დაქირავებული ჰყავს გარე კონსულტანტები და მათთან ერთად ხდება მოსალოდნელი რისკების შეფასება და გათვალისწინება.

ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა - რადგან ძირითადი მომწოდებლები სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები არიან. მათთან სამუშაო ვალუტას წარმოადგენს რუსული რუბლი, აშშ დოლარი და ევრო. ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, ძალიან მნიშვნელოვანი რისკია და პირდაპირ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე. 2024 წელს, კვლავ მიმდინარეობს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი რაც ფართომასშტაბიან ომშია გადაზრდილი უკვე მე-4 წლის განმავლობაში, აღნიშნულს თან ერთვოდა ლარის კურსის მკვეთრი გაუარესება და პერიოდულად გამყარება, რაც თავის მხრივ პირდაპირ გავლენას ახდენს შესყუდული ნედლეულის თვითღირებულებაზე, რადგან ნედლეულის ძირითადი ნაწილი იმპორტირებულია სართაშორისო ბაზრებიდან. ნედლეულთან ერთად, კომპანია ძირითადი საშუალებების შესყიდვას ახდენს უცხოელი მომწოდებლებისგან, რაზეც ასევე გაიზარდა ფასები შესაბამის ვალუტაში. ამ კუთხით მენეჯმენტი გეგმების მიხედვით აანალიზებს და იღებს გადაწყვეტილებას გამოიყენოს თუ არა სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტები, როგორიცაა, მაგალითად, ვალუტის კურსის დაზღვევა.

ლიკვიდურობის რისკი - არის ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულების რისკი. მენეჯმენტი მუდმივად ცდილობს ლიკვიდურობის რისკის მართვას სხვადასხვა ინსტრუმენტებით, მაგალითად რამოდენიმე სცენარით ბიუჯეტირებით, მათ შორის კრიზისული სცენარებით.

შპს სოლარის მმართველობითი ანგარიშგება მომზადებული და გამოსაცემად დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 12 ნოემბერს.

იური ტყეშუაშვილი
დირექტორი

საერთაშორისო, არამდგრადი და კონფლიქტური სიტუაციის გამო, იზრდება გაურკვეველობა და მერყეობა ვალუტის კურსებთან დაკავშირებით, რამდენადაც ჩვენი კომპანია ახორციელებს იმპორტს და სავაჭრო ვალდებულებები მის მომწოდებლებთან გამოხატულია უცხოურ ვალუტაში აღნიშნული რისკი წარმოადგენს არსებით ფაქტორს.

კომპანიის მენეჯმენტი იღებს სრულ პასუხისმგებლობას რისკების განსაზღვრა/მართვაზე. ამისთვის მუდმივად ხდება მოსალოდნელი რისკების იდენტიფიცირება, მათი ანალიზი, მონიტორინგი, მნიშვნელობის განსაზღვრა და შესაბამისი პრევენციული მექანიზმების შემუშავება.

განვითარებადი ბაზრის რისკები, როგორცაა ხშირად ცვალებადი საგადასახადო, საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები, რომელიც მოითხოვს ბიზნეს პროცესების ხშირ გადაწყობას, დამატებით ხარჯებს თუ რიგ შემთხვევებში დანაზოგებს. ამ რისკების სამართავად კომპანია იყენებს, როგორც შიდა დაქირავებულ რესურსს, ისე დაქირავებული ჰყავს გარე კონსულტანტები და მათთან ერთად ხდება მოსალოდნელი რისკების შეფასება და გათვალისწინება.

ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა - რადგან ძირითადი მომწოდებლები სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები არიან. მათთან სამუშაო ვალუტას წარმოადგენს რუსული რუბლი, აშშ დოლარი და ევრო. ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, ძალიან მნიშვნელოვანი რისკია და პირდაპირ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე. 2024 წელს, კვლავ მიმდინარეობს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი რაც ფართომასშტაბიან ომშია გადაზრდილი უკვე მე-4 წლის განმავლობაში, აღნიშნულს თან ერთვოდა ლარის კურსის მკვეთრი გაუარესება და პერიოდულად გამყარება, რაც თავის მხრივ პირდაპირ გავლენას ახდენს შესყუდული ნედლეულის თვითღირებულებაზე, რადგან ნედლეულის ძირითადი ნაწილი იმპორტირებულია სართაშორისო ბაზრებიდან. ნედლეულთან ერთად, კომპანია ძირითადი საშუალებების შესყიდვას ახდენს უცხოელი მომწოდებლებისგან, რაზეც ასევე გაიზარდა ფასები შესაბამის ვალუტაში. ამ კუთხით მენეჯმენტი გეგმების მიხედვით აანალიზებს და იღებს გადაწყვეტილებას გამოიყენოს თუ არა სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტები, როგორცაა, მაგალითად, ვალუტის კურსის დაზღვევა.

ლიკვიდურობის რისკი - არის ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულების რისკი. მენეჯმენტი მუდმივად ცდილობს ლიკვიდურობის რისკის მართვას სხვადასხვა ინსტრუმენტებით, მაგალითად რამოდენიმე სცენარით ბიუჯეტირებით, მათ შორის კრიზისული სცენარებით.

შპს სოლარის მმართველობითი ანგარიშგება მომზადებული და გამოსაცემად დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 12 ნოემბერს.

იური ტყეშელაშვილი
დირექტორი

